ხელშეკრულება №61/1622

„სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება"(CPV კოდი: 55120000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 25 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის მაია ყიფშიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ლოპოტა ტურ სერვისი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მაისურაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის „ვ" პუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის „სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურების" (CPV კოდი: 55120000) უზრუნველყოფა;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 6603.00(ექვსიათასექვსასსამი) ლარს;

2.2. ერთული მომსახურების ფასი მოცემულია „დანართი №1"-ში, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდაც ეკისრება „მიმწოდებელს";

3. **მომსახურების ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები**

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის" 2016 წლის 28 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით კახეთის რეგიონში, სასტუმრო „ლოპოტა ტურ სერვისში" სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის და ნატო - საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO-PDP) ერთობლივად ორგანიზებული სემინარის: „გლობალური უსაფრთხოება - საქართველოს პერსპექტივა" მონაწილეთა საცხოვრებლად განთავსებას და კვებას.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. „მიმწოდებელი" ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რისთვისაც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;

4.3. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის" მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა გაუწიოს „მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

5.2 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთვევაში „შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის დირექტორი - მაია ყიფშიძე;

6. მხარეთა უფლებები

6.1.„მიმწოდებელს" უფლება აქვს:

6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

6.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტის შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

10.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება

შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით;

12.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" ან/და „მიმწოდებელს" უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

12.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შერულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების 5.3 პუნტში აღნიშნული პირი.

13.2. „შემსყიდველის" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ ხარისხის კონტროლი.

13.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

13.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრეული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ერთი პირი „მიმწოდებელთან“ ერთი პირი „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი	შპს „ლოპოტა ტურ სერვისი“
	სოფ. ნაფარეული, თელავი
	თიბისი ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE22;
	ა/ა №GE79TB7892436020100001;
	ს/კ: 431165972;
	ტელ: 591 700777;
მის: ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ.№4	
სახელმწიფო ხაზინა	
ს/კ №204579456;	
დირექტორი	დირექტორი
მაია ყიფშიძე	გიორგი მაისურაძე

დანართი №1

შემოსვლა	გასვლა	მომსახურების დასახელება	ღამეების რაოდენობა	ოთახების რაოდენობა	ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
28.11.2016	30.11.2016	სტანდარტული ერთადგილიანი (სამჯერადი კვებით)	2	9	236.00	4248.00
28.11.2016	30.11.2016	ყავის შესვენება	6	25	8.00	1200.00
30.11.2016	30.11.2016	დამატებითი სადილი	1	25	35.00	875.00
28.11.2016	29.11.2016	დამატებითი სადილი	2	2	35.00	140.00
28.11.2016	29.11.2016	დამატებითი ვახშამი	2	2	35.00	140.00
			საერთო ჯამი დღგ-ს ჩათვლით			6603.00

„შემსყიდველი“
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს ლევან მიქელაძის
სახელობის დიპლომატიური სასწავლო
ცენტრის

დირექტორი
მაია ყიფშიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ლოპოტა ტურ სერვისი“

დირექტორი
გიორგი მაისურაძე